საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2385 2023 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №378 დადგენილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალათ რიგი ღონისძიებების გატარება ზოგიერთი კატეგორიის სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

2. კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გადასახდელი სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოუყოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**